

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
(საჯარო სამართლის იურიდიული პირი)



საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIA

საკონკურსო განცხადება

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების
შესყიდვის მიზნით
(CPV-71300000)

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი
2013 წელი

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ-საპროექტო-საინჟინრო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების (მათ შორის ინტერიერის, ექსტერიერის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის დაგეგმარება (ღობის, პანდუსის მოწყობა ავტომობილების ეზოში შესვლისათვის ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩის მხრიდან, ასფალტის საფარის მოწყობა და გამწვანება)) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია ქ. თბილისში სანდრო ეულის #3-ში მდებარე სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-ს შენობის (ინტერიერი/ექსტერიერი) და მიმდებარე ტერიტორიის გადაწყვეტის არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ შენობის ინტერიერი/ექსტერიერის და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობისთვის აუცილებელი სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა ამ საკონკურსო განცხადების დანართის „ტექნიკური დავალება“ შესაბამისად.
3. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შენობის ინტერიერის და ექსტერიერის არქიტექტურული კონცეფცია. გამარჯვებულად გამოვლენილმა კონკურსანტმა, რომელთანაც დაიდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, უნდა უზრუნველყოს შენობის (ინტერიერი/ექსტერიერი) მოწყობისთვის აუცილებელი სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე განხორციელდეს შენობის ინტერიერის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად.
4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 70 000 (სამოცდა ათი ათასი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.
5. დაფინანსების წყარო: სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-ს საკუთარი სახსრები.
6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

6.1 საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე ლარებში (www.procurement.gov.ge).

მიმღები ბანკი	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
	ბანკის კოდი: REPLGE22
მიმღები	მიმღები: სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
	IBAN: GE52BR0000010591718543

6.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-6 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ძალაშია კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
9. საკონკურსო წინადადებით წარდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
10. საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდება 2013 წლის **19 სექტემბერს 15:00 საათზე**.
11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტის სახით უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის 24-ში „სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში“.
12. საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდება და საკონკურსო კომისიის მიერ დალუქული პაკეტების გახსნა მოხდება 2013 წლის **19 სექტემბერს 15:00 საათზე**.
13. დავიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
14. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
15. დასაშვებია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ოდენობის საავანსო საბანკო გარანტია, რომელიც გაცემული იქნება საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ.
16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

#	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0,5
2	საკონკურსო წინადადების ფასი	0,4
3	გამოცდილება	0,1
სულ:		1.0

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (70 000 ლარი) არ განიხილება.
18. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება.
19. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
20. კონკურსი ჩატარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე.

21. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.
22. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იქნას წარმოდგენილი როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული სახით.

23. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს და ითვალისწინებდეს:

- აფიდავიტი (შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ) „დანართი #1“-ის მიხედვით;
- საკონკურსო წინადადების ფასს „დანართი #2“-ის მიხედვით (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;
- განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება;
- ვიზუალიზაცია (რენდერი); ექსტერიერი და ინტერიერი;
- სართულის ესკიზური გეგმები, არქიტექტურული გეგმარებითი გადაწყვეტილებები
- ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს პრეზენტაციის სახით (ალბომი) A3 ფორმატით 3 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსია PDF ფაილის სახით;
- ინფორმაცია გამოცდილების შესახებ ანალოგიური მომსახურების მინიმუმ 3 (სამი) რეალიზებული პროექტის წარმოდგენით შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად (აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით);
- ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

შენიშვნა: ექსტერიერის ნაწილში შენობის ზომა და ფორმა რადიკალურად არ უნდა შეიცვალოს. თითოეული ოთახისათვის ფასადის ნაწილში მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ფანჯრები, რომლებიც იღება.

გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საბოლოო დოკუმენტაცია იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე განხორციელდეს შენობის ინტერიერის/ექსტერიერის და შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად.

24. კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ პროექტი შედგენილი და ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში წარმოდგენილი უნდა იქნას მიწოდების ობიექტი ტექნიკურ დავალებაში მითითებული პირობების გათვალისწინებით, კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს არქიტექტურული პროექტი დაბეჭდილი A3 ფორმატით და ელექტრონული ვერსია ArchiCad-ის ან Auto Cad-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით ელექტრონულ მატარებელზე, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით, მშენებლობის სავარაუდო ღირებულება, ხარჯთაღრიცხვა და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულების სავარაუდო ვადები.
25. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ნებართვების მისაღებად მოუშაადოს „შემსყიდველს“ საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოს არქიტექტურულ სამსახურში წარსადგენად.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისში, სანდრო ეულის #3-ში მდებარე სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-ს შენობის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული არქიტექტურული (ინტერიერის, ექსტერიერის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი) და საპროექტო-საინჟინრო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- შიდა წყალ-კანალიზაციის პროექტი;
- ელექტროობის პროექტი;
- სატელეფონო და კომპიუტერული ქსელის პროექტი;
- გათბობა-ვენტილაცია- გაგრილების პროექტი;
- ჭრილები და კედლის განშლები;
- ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის პროექტი;
- სახანძრო-უშიშროებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის პროექტი;
- გარე ფასადის სამუშაოები;
- გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი (ღობის, პანდუსის მოწყობა ავტომობილების ეზოში შესვლისათვის ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩის მხრიდან, ასფალტის საფარის მოწყობა და გამწვანება);
- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო მასალის და ტექნიკის დეტალური სპეციფიკაციები;
- სამშენებლო ჩამონათვალი და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სრული ხარჯთაღრიცხვა;
- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოების სავარაუდო კალენდარული გეგმა გრაფიკი;

ძირითადი შენობა არის 3 (სამი) სართულიანი.

პირველ სართულზე სავარაუდოდ უნდა განთავსდეს შემდეგი საოფისე ფართები:

- მისაღები/მოსაცდელი სივრცე (სავარაუდოდ 20-30 ადამიანზე);
- საკონფერენციო დარბაზი (სავარაუდოდ 100 ადამიანზე);
- სასამართლოს იმიტირებული დარბაზი;
- კაფეტერია (სავარაუდოდ 70-80 ადამიანზე);
- დამხმარე მოსამსახურეთა 2 ოთახი (სავარაუდოდ 3-5 ადამიანზე);
- არქივი;
- საწყობი;
- სველი წერტილები (ქალი/კაცი, რაოდენობა: 1/1);

მეორე სართულზე სავარაუდოდ უნდა განთავსდეს შემდეგი საოფისე ფართები:

- მისაღები/მოსაცდელი სივრცე (სავარაუდოდ 80-100 ადამიანზე);
- 5 ტრეინინგ ოთახი (2 აკადემიური სტილი, 3 სატრეინინგო, სავარაუდოდ 30 ადამიანზე);

- ტესტირების (კომპიუტერული) 3 ოთახი (სავარაუდოდ 30 ადამიანზე);
- ადაპტირებული სატრენინგო ოთახი (შშმპ);
- სველი წერტილები (ქალი/კაცი, რაოდენობა: 1/1);
- სველი წერტილები (შშმპ);

მესამე სართულზე სავარაუდოდ უნდა განთავსდეს შემდეგი საოფისე ფართები:

- დირექტორის სამუშაო ოთახი;
- დირექტორის მოადგილის სამუშაო ოთახი;
- თანამშრომლების სამუშაო 6 ოთახი (ჯამში სავარაუდოდ 50 ადამიანზე);
- ინდივიდუალური შეხვედრების ოთახი (სავარაუდოდ 3-5 ადამიანზე);
- შეხვედრების 2 ოთახი (დიდი/პატარა, სავარაუდოდ 30/10 ადამიანზე);
- ბრენშტორმინგის 1 ოთახი (სავარაუდოდ 10 ადამიანზე);
- სამხარეულო თანშრომლებისათვის (მოსასვენებელი ოთახი 5-10 ადამიანზე);
- ბეჭდვის და ქსეროქსის სივრცე;
- სველი წერტილები (ქალი/კაცი, რაოდენობა: 1/1);

შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია შეიცვალოს ძირითად შენობაში განსათავსებელი საოფისე ფართები/რაოდენობა.

საკონკურსო ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული არქიტექტურულ-საპროექტო-საინჟინრო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, დღგ-ს ჩათვლით. არქიტექტურულ-საპროექტო-საინჟინრო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის #1-1/1463 ბრძანება)

იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის შედეგად მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე განსახორციელებელი სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება არქიტექტურულ-საპროექტო-საინჟინრო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი არქიტექტურულ-საპროექტო-საინჟინრო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

შენობის ინტერიერი/ექსტერიერის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის დაგეგმარების საბოლოო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ ინტერიერი/ექსტერიერის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 2 - 2.5 მილიონ ლარს.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

შენობა-ნაგებობების ტექნიკური დახასიათება და საექსპერტო დასკვნა იხილეთ დანართის სახით.

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულია კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - საკონკურსო წინადადების ფასი;
 - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
 - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;
 -

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავაცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად

კონკურსანტის შეთავაზება

1.	კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	კონკურსანტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკის დასახელება:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	საკონკურსო წინადადების ღირებულება:	

ღირებულება უნდა ითვალისწინებდეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ ყველა მომსახურებას, მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სახელმწიფო გადასახადებს.

ხელმოწერა და ბეჭედი _____

დამატებითი ინფორმაცია

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლებს:

ოთარ ფერაძე - ტელ: 577 502 802; 294 22 70; ელ ფოსტა: opheradze@justice.gov.ge

ანა ხუციშვილი - ტელ: 577 77 55 86; 294 22 48; ელ ფოსტა: anakhutsishvili@justice.gov.ge

ხელშეკრულების პროექტი

ქ.თბილისი

- 2013 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე.

I. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ხელშეკრულების საგანია მომსახურების (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.
- 1.2 მომსახურების შესყიდვა გულისხმობს ქ. თბილისში სანდრო ეულის #3-ში მდებარე სსიპ „იუსტიციის სასწავლო ტენცრი“-ს შენობის სრული არქიტექტურული (ინტერიერი/ექსტერიერის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი) და საპროექტო-საინჟინრო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო (CPV-71300000) შესყიდვას.

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

- 2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ----- ლარი, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.
- 2.2. შესყიდვის ობიექტის შემოწმდება სსიპ ლევან სამხარულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

- 3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან -----.
- 3.2. ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, სსიპ ლევან სამხარულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

- 5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთარი სახსრებიდან.
- 5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტი აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.
- 5.3. ანაზღაურების ადგილია ქ.თბილისი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
- 6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:
 - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;
- 6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს ინსპექტირება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
 - მოსთხოვოს მიმწოდებელს ინსპექტირებისას გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
- 6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- 6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულების შესრულების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაზე ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

VIII. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

- 8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის.
- 8.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.
- 8.4. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.2 პროცენტის ოდენობით.
- 8.5. თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

IX. ფორს-მაჟორული სიტუაციები

- 9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევის შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.
- 9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

X. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

- 10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.
- 10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

XII. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIII. სხვა პირობები

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

XIV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“

თბილისი, გორგასლის ქუჩა №24

ტელ: 294 22 70

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის #GE62BG0000000522975000

დირექტორი